პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 236 (10012)

სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი. — „პრავდის“ 3 ოქტომბრის მოწინავე (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი შადრინსკში (1-ლი გვერდი).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის! (მე-2 გვერდი).

შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ. სსრ კავშირის დელეგატის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

ბანკეტი მაო ძე-დუნთან ჩინეთის [illegible] მეხუთე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ [illegible] დელეგაციათა პატივსაცემად (მე-3 [illegible]).

პეკინში გაიხსნა სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევების გამოფენა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა წინადადებაზე შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ (მე-4 გვერდი).

დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს ღონისძიებებს წარმართავს სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების გადაუდებელი ამოცანების შესასრულებლად.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის ძირითადი პირობაა მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება, სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცება, მასების თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარება. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინისა და სხვა პროდუქტების დაკვისათვის, რომლებიც ხვდება მთელ საზოგადოებას.

საბჭოთა წყობილების წლებში კომუნისტური პარტიის ღვიდესი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მშრომელთა შეგნებაში დიდი ცვლილებები მოხდა. საბჭოთა ადამიანებმა გაიარეს კომუნისტური აღზრდის დიდი სკოლა. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ახალი დამოკიდებულება შრომისადმი როგორც ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმისადმი. ეს თავს იჩენს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, თავს იჩენს წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა არმიის განუწყვეტელი ზრდით.

სსრ კავშირში დამკვიდრებული ახალი, სოციალისტური შრომის დისციპლინა ემყარება ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას, იგი გამსჭვალულია შეგნებულობის, ინიციატივის, დაუშრეტელი შემოქმედების სულისკვეთებით. ჩვენს ქვეყანაში ცნობილია მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მრავალი ათასი მოწინავე, რომლებიც თავიანთ საქმეში ნამდვილი ნოვატორები არიან, გვიჩვენებენ შემოქმედებითი, შთაგონებული შრომის მკაფიო ნიმუშებს.

საბჭოთა ადამიანების უდიდესი უმრავლესობა თავდადებით შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამასთან ერთად ჩვენში ჯერ კიდევ არის შრომისადმი, განსაკუთრებით ფიზიკური შრომისადმი წვრილბურჟუაზიული დამოკიდებულების ნაშთები, ჯერ კიდევ არიან ისეთი პირები, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას, შრომის დისციპლინის დამრღვევები, სამუშაოს გამცდენები. ცალკეულ საწარმოებში, ზოგიერთ კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში იშვიათი როდია სამუშაოზე დაგვიანების, სამუშაოს გაცდენის შემთხვევები, დიდია მუშახელის დენადობა. მაგალითად, კარგად როდია შრომის დისციპლინის საქმე ქვანახშირის მრეწველობის ბევრ საწარმოში. „სტალინუგოლის“ კომბინატში უკანასკნელი წლების მანძილზე სამუშაოს გაცდენა არათუ არ შემცირებულა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გამცდენთა რიცხვი კომბინატში თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა. სუსტია შრომის დისციპლინა აგრეთვე „მოლოტოვუგოლის“ კომბინატის საწარმოებში. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, სადაც სუსტია შრომის დისციპლინა, ცუდად არის ორგანიზებული კოლმეურნეთა შრომა, დაბალია შრომის ნაყოფიერება.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ შემრიგებლურად ეპყრობიან სამუშაოს გამცდენებსა და წარმოების

„პრავდის“ 3 ოქტომბრის მოწინავე

დეზორგანიზატორებს, არ რაზმავენ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრს, არ ებრძვიან უდისციპლინობის გამოვლინებას, წარმოებაში, ყოფაცხოვრებაში, საზოგადოებრივ ადგილებში ცალკეულ პირთა არასწორ საქციელს. ცალკეულ მუშაკთა დანაშაულს, რომელიც შეუთავსებელია საბჭოთა მორალთან, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე არ განიხილავენ. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად ცუდად არის გამოყენებული კედლის გაზეთები და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა საშუალებანი.

პარტიული, პროფკავშირული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის გზით თანდათანობით გადალახონ შრომაზე ძველი, ბურჟუაზიული შეხედულების ნაშთები, ჩაუნერგონ ჩვენი ქვეყნის თვითეულ ადამიანს დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი.

სოციალისტური შეჯიბრების, როგორც მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების ძირითადი მეთოდის, ფართოდ გაჩაღება, წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა და გავრცელება, რათა შრომის ფრონტზე სულ უფრო მეტად ხორციელდებოდეს ჩვენი საზოგადოების მოწინავე მშრომელთათვის მიბაძვა, — ასეთია ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვის საქმეში. საჭიროა მკაფიოდ და დამაჯერებლად ვუჩვენოთ ნოვატორთა შემოქმედება, მათი შრომითი საგმირო საქმეების სიდიადე, გავალვიძოთ რიგითი მუშაკების აზრი, გამოვიწვიოთ მათში პატრიოტული მისწრაფება — გადაჭარბონ მოწინავეთა მიღწევებს, მიაღწიონ კიდევ უფრო მაღალ შედეგებს.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ ვერ იყენებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს ფორმას. ლექციები და საუბრები წარმოების ნოვატორთა მუშაობის მეთოდების შესახებ ღარიბია შინაარსით, ხშირად ამოიწურება ციფრებისა და ტექნიკური მაჩვენებლების მშრალი ჩამოთვლით.

კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა უფართოეს მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვის საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ.

ეს გამოფენა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების ნამდვილი საგანძურია. აქ ერთად შეგროვებულია ყოველივე საუკეთესო, რასაც ბეჯითი შრომით, მეცნიერებისა და პრაქტიკის პროგრესული მეთოდების გამოყენებით მიაღწიეს მოწინავე კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, უხვი მოსავლის ოსტატებმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორებმა.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მოაწყონ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო გამოცდილების ფართო პროპაგანდა, მიაღწიონ იმას, რომ მოწინავეთა შესანიშნავი შრომითი მიღწევები მასობრივად გავრცელდეს საკოლმეურნეო სოფელში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ეფექტიანად უნდა შეახამონ თავისი შრომის შედეგებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება მასებში პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის ახსნა-განმარტებისათვის გულმოდგინე და ენერგიულ მუშაობასთან, ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა გამოვლინების წინააღმდეგ გადამწყვეტ და ულმობელ ბრძოლასთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა და კოლმეურნეთა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის პირველი ნაბიჯიდანვე მათ უნდა ჩაეუნერგოთ სიყვარული შრომისადმი, თავისი პროფესიისადმი, სიამაყის გრძნობა თავისი საწარმოსათვის, ქარხნისათვის, კოლმეურნეობისათვის, მტსისა და საბჭოთა მეურნეობისათვის.

ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს წარმოების ძველი მუშაკების გამოცდილების გადაცემამ. მაგალითად, საყურადღებოა ახალგაზრდა მუშების შეხვედრები შრომის ვეტერანებთან, რასაც ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია აწყობს. ამ შეხვედრებზე უფროსი თაობის ადამიანები ესაუბრებიან ახალგაზრდობას თავიანთი ქარხნის წარსულზე, უზიარებენ თავიანთი ოსტატობის „საიდუმლოებებს“, უბრალოდ და გულითადად უამბობენ ჩვენს ქვეყანაში შრომის ადამიანის დიად მოწოდებაზე.

მაგალითად, ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას“ ერთ-ერთი უხუცესი მუშა მგრაგნავი ა. ნ. მიზნიკოვი ხშირად ესაუბრება ახალგაზრდა მუშებს საწარმოს შრომითს ტრადიციებზე, ხალისით უზიარებს მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას. კიროვის ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ხარატი ვ. ი. კარასევი ახალგაზრდა მუშებს ასწავლის ლითონის დამუშავების მოწინავე ხერხებს, უნერგავს მათ სიყვარულს თავისი პროფესიისადმი. ვ. ი. კარასევის დახმარებით ახალგაზრდა ხარატმა ვ. ნიკოლაევმა ცალკეულ პასუხსაგებ ოპერაციებზე მიაღწია ნორმის 500-600 პროცენტით შესრულებას.

ახალგაზრდობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას სულ ადრე ასაკიდან უნდა ვიწყებდეთ. უბრალო ჭეშმარიტება, რომ შრომა არის ცხოვრების წყარო, ადამიანის უპირველესი საზოგადოებრივი მოვალეობა, მოზარდმა თაობამ უნდა შეითვისოს ოჯახსა და სკოლაში.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვაში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა პრესამ, ლიტერატურამ, კინომ, თეატრმა, ფერწერამ. ყველა შემოქმედებითი მუშაკის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ შექმნან მუშების, კოლმეურნეების მკაფიო, ამაღლებული მხატვრული სახეები, აგვიწეროონ თავმდაბალ, უბრალო მშრომელთა — მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელთა გმირობა, გვიჩვენონ სოციალიზმის დროს შრომის შემოქმედებითი, გარდამქმნელი ხასიათი.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დამკვიდრებისათვის ბრძოლა მასებში მთელი აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანაა. ეს ახალი ადამიანისათვის, კომუნიზმის აქტიური მშენებლისათვის პარტიის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვა განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძვლისადმი — სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველ მოპყრობასთან. ყველა მშრომელს უნდა ჩაუნერგოთ ყაირათიანი დამოკიდებულება სახალხო დოვლათისადმი, მივაღწიოთ მოწყობილობის სწორად გამოყენებას, სათბობის, ელექტროენერგიის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობას, აღმოვფხვრათ ყოველგვარი მფლანგველობა, არ დავუშვათ პროდუქციის წუნი.

მასებში მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. კომუნისტური პარტია მოითხოვს ბოლო მოვუღოთ ჩვენი საქმისათვის მავნე და საშიშ თვითკმაყოფილების განწყობილებას, პარადულობისა და განცხრომის გამოვლინებას, გაბედულად და გადაჭრით ვამხილოთ და აღმოვფხვრათ მუშაობის ნაკლოვანებანი, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა.

მასების სოციალისტური შეგნებისა და აქტივობის ზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ძალის წყაროა, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის საწინდარია.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი შადრინსკში

შადრინსკი (ყურგანის ოლქი), 3 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის დილის სხდომაზე დაიწყო ამხ. მალცევის მოხსენების განხილვა. თათბირში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ფედერაციის 25 ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის და 12 მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. თავიანთ სიტყვებში ისინი დაწვრილებით ლაპარაკობენ მიწათმოქმედების ახალი სისტემის დანერგვის გეგმებზე.

სვერდლოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგე მამ. ივანოვამ ილაპარაკა შადრინსკის საცდელ სადგურთან ინსტიტუტის კავშირსა და ინსტიტუტისათვის ამხ. მალცევის დახმარების შესახებ.

კურგანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლობდა ამხ. მალცევის მიერ შემუშავებული აგროხერხების ეკონომიურ ეფექტიანობას. ამაზე ილაპარაკა ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბუგაევმა. შესასწავლად აღებულ იქნა კალინინის სახელობისა და ხრუშჩოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელები, რომლებიც კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თანაბარ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში არიან. იყენებდა რა ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ უკანასკნელ 4 წელიწადში ჰექტარზე იღებდა 8 ცენტნერით მეტ მარცვლეულს, ვიდრე ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა, და 5 ცენტნერით მეტს, ვიდრე კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

მაღალი შეფასება მისცა რა ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას, შაქრის ჭარხლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბუზანოვმა განაცხადა, რომ ინსტიტუტმა შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის შემოქმედებითი გამოყენების ცდების სქემიდან პროგრამა.

გამოდის საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალის“ მთავარი აგრონომი ამხ. პარადეევი.

— ჩვენი საბჭოთა მეურნეობა სამხრეთ ყაზახეთის ოლქის მშიერი ველის რაიონშია, — ამბობს იგი, — მეურნეობის ძირითადი მიმართულებაა მებამბეობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, რომ ბამბის მოყვანა წარმოებდეს ნიადაგის ყოველ წელიწადს მოუხნავად. მაგრამ ორატორი გაფრთხილებას იძლევა, რომ უფრთო გუთნით ღრმად ხვნა უნდა წარმოებდეს მარტო იმ ნაკვეთებზე, სადაც ბამბის მავნებლები არ არის.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ეიტომბირის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის პრასკოვია გრიგოლის ასულ ჩუხნის სიტყვა. იგი მეცნიერების მუშაკებს აკრიტიკებდა პრაქტიკაში ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის ნელა დანერგვისათვის.

დილის სხდომა დამთავრდა უკრაინის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ს. სპივაკის გამოსვლით.

შადრინსკი (ყურგანის ოლქი), 2 ოქტომბერი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მალცევის მოხსენების გამო.

ბელორუსის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ამხ. ლუპინოვიჩმა ილაპარაკა ბელორუსის მინდვრებში ამ სისტემის გამოყენების პრაქტიკულ საკითხებზე.

მებამბეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. ბესედინმა თავისი სიტყვა მიუძღვნა მებამბეობის რაიონებში ნიადაგის დამუშავების ახალი ხერხების გამოყენებას გამოცდის წესით.

დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარის ამხ. პროსვირნოვის სიტყვა. მან განაცხადა, რომ ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის მეოხებით კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჩუვაშეთის ასსრ კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარე ამხ. გრიგორიევი, ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. პეტრუშჩენკო და სხვები.

შადრინსკი, (ყურგანის ოლქი). 4 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს შადრინსკში დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრის, შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორ ტერენტი სიმონის-ძე მაღცევის მუშაობის მეთოდების შესწავლისა და გავრცელების საკითხებზე.

კამათის მონაწილეებმა — მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, თუ რა პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ახალ სისტემას.

— უფრთო გუთნით ღრმად მოხვნა და მომდევნო წლებში ნიადაგის ზერელე დამუშავება ცვლის ნიადაგის ქიმიურ თვისებებს, მკვეთრად ძლიერდება მიკროორგანიზმების მუშაობა, მატულობს ტენი ნიადაგში, იზრდება მეცნარის კვებისათვის საჭირო ნივთიერებათა რაოდენობა.

ჩვენი მონაცემების მიხედვით, ფესვის სისტემის მოცულობა ნიადაგის ზედა ფენაში, როცა მას მაღცევის მეთოდით ამუშავებენ, 1.5-2-ჯერ მატულობს. გასული წლის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ხორბალი ამ ფენაში გაცილებით უფრო აქტიურად ითვისებს ნოყიერ ნივთიერებებს.

ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა, — თქვა სელის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილების გამგემ ამხ. აბრამოვმა, — მეტად საჭირო და სასარგებლოა მესელეობის ზონის რაიონებისათვის. დიდ ინტერესს იჩენენ რა ამხ. მალცევის ნოვატორული აგროტექნიკისადმი, კალინინის ოლქის კოლმეურნეობები ახდენენ საწარმოო ცდებს 20 ათას ჰექტარ ფართობზე.

ამხ. მალცევის მოხსენების გამო გამართული კამათი დამთავრდა უზბეკეთის მილიუტინის სახელმწიფო სასელექციო სადგურის დირექტორ ამხ. მაზურინის გამოსვლით.

ამის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ტერენტი სიმონის-ძე მაღცევმა.

დასასრულ ამხ. მალცევმა მადლობა გადაუხადა თათბირის მონაწილეთ ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემისადმი გამოჩენილი ინტერესისათვის, სისტემისა, რომელსაც შადრინსკის საცდელი სადგური ამუშავებს. მან გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებმაც კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ დახმარება გაუწიეს მეცნიერულ მუშაობაში.

შემდეგ ინფორმაციები გააკეთეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების, უკრაინის, მოლდავეთის სექციათა, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების არაშავნიადაგიანი ზოლის სექციის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის სექციის ხელმძღვანელებმა. მაღცევის მიერ შემოღებული ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა ერთსულოვნად მოიწონა ყველა სექციამ.

სექციათა ხელმძღვანელების მოხსენების შემდეგ ილაპარაკა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. კუზუმოვმა. შეეხო რა თათბირის შედეგებს, მან აღნიშნა, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეცნიერების მუშაკები და სოფლის მეურნეობის მოწინავენი კოლმეურნე მეცნიერის მუშაობის მეთოდების შესწავლაში.

პლენარულ სხდომებზე და სექციათა სხდომებზე გამოვიდა 101 კაცი — სოფლის მეურნეობის მეცნიერები, სპეციალისტები და მოწინავენი — ყველა ოლქისა და რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც თათბირს ესწრებიან.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნა მაღცევის მიერ შემოღებული ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის დიდი მნიშვნელობა; დასახულია ღონისძიებანი, რათა ეს სისტემა ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

★

330 მძიმე წონის მაგზარებელი

ახალი საწარმოო წარმატებები მოიპოვა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში თბილისის საელექტროვო დეპოს კოლექტივმა. სადღეღამისო გარბენის სექტემბრის გეგმა რკინიგზელებმა 111,5 პროცენტით გაანაღდეს, ტექნიკური სიჩქარისა — 101,5 პროცენტით.

სექტემბერში გადაყვანილია 330 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადატანილია 110 ათასი ტონა ტვირთი. ამით მელმავლეებმა სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დაუზოგეს.

განსაკუთრებით ისახელა თავი უფროსი მეშანქანის გ. ჩახუნაშვილის ბრიგადამ, რომელმაც შეჯიბრების პერიოდში რამდენიმე მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და სადღეღამისო გარბენის დავალება 123 პროცენტით გაანაღდა.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს აგრეთვე მერემონტეებმა. მათ მთლიანად შეასრულეს ელმავლების აწევითი შეკეთების გეგმა. 166 პროცენტით გაანაღდეს პერიოდული რემონტის დავალება და 2 საათით შეამცირეს ელმავლების რემონტში დგომის დრო.

შემკეთებლებს შორის დაწინაურდნენ ზეინკლები ბ. ცაცანაშვილი, თ. გელაშვილი, რ. ტატანაშვილი, მ. გრეჩინი, შემდუღებელი ა. არშაკუნი, ხარატი კ. გვენცაძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 180-220 პროცენტით ასრულებენ.

ოქტომბრის პირველ დღეებიდანვე რკინიგზელები კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგნენ შრომას.

ახალი ტიპის ქუთაისური ავტომობილები

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის შეხვედრისათვის ენერგიულად იბრძვიან საავტომობილო ქარხნის საამქროებში. მთავარმა საკონსტრუქტორო განყოფილებამ და ექსპერიმენტალურ საამქროს კოლექტივმა წარმატებით დაამთავრეს სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი სამი გამწევი და ნახევრადმისაბმელი სპეციალიზებული თვითსაცლელი ავტომობილის აგება.

ახალი ტიპის თვითსაცლელი მანქანის სიგრძეა 10 მეტრი, სიგანე — 2,5 მეტრი, სიმაღლე — 3,5 მეტრი. მანქანის ძარა, რომლის მოცულობა 25 კუბურ მეტრს შეადგენს, იტევს 6 ტონამდე ჭარხალს, კარტოფილს, მარცვლეულს, ხოლო ბამბას — 3 ტონას.

ნახევრადმისაბმელიდან ტვირთი იცლება ძირას აყირავებით, რაც ხდება შასზე მოწყობილი ორი მძლავრი ტელესკოპური ჰიდროამწის დახმარებით. ძარას გადაყირავებისას მძღოლის კაბინიდან ავტომატურად იხსნება მარჯვენა ქიმი.

სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადასაზიდი ახალი ტიპის მანქანების ათვისების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კონსტრუქტორებმა გ. ფორჩხიძემ, მ. კისელიოვმა, ს. ბათიაშვილმა, ჯ. კოლუაშვილმა, ი. მოშიაშვილმა, ა. ნიკოლაევამ, ლ. სტროინოვამ და სხვებმა.

საქარხნო გამოცდის შემდეგ ახალი მანქანები გაეგზავნება აზერბაიჯანისა და შუა აზიის მებამბეობის რაიონებს.

★

ფოღად-თუჯის მსხმელთა წარმატებები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა თბილისის ფოღად-თუჯის სამსხმელო ქარხანაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან საამქროები, ბრიგადები. მათ ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

საოქტომბროდ ახალი ვალდებულება იკისრა ქარხნის მთელმა კოლექტივმა. მსხმელებმა გადწყვიტეს ოქტომბრის საერთო პროდუქციის დავალება გაანაღდონ 106 პროცენტით, მეოთხე კვარტალისა — 105 პროცენტით. კიდევ უფრო მაღალი ვალდებულებებია გათვალისწინებული სასაქონლო პროდუქციის დამზადების დარგში.

ვალდებულებათა მუხლები ითვალისწინებენ აგრეთვე გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, პროდუქციის თვითღირებულებისა და წუნით გამოწვეული დანაკარგების შემცირებას.

გასული თვის გეგმა ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით გაანაღდა. მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს შემომჭრელმა ვ. ჭიაბრიშვილმა, რომელიც ყოველდღიურ ნორმებს ვალდებულებით ნაკისრი 200 პროცენტის ნაცვლად თითქმის სამმაგად ასრულებს, მეყალიბე ბ. კირვალიძემ, რომელიც გეგმებს ერთიოთხად ასრულებს. ცვლაში ერთნახევარ ნორმას იძლევა აგრეთვე საყალიბე მანქანაზე მომუშავე ა. ალეშენკოვა.



სურათზე: ახალი ტიპის თვითმცლელი ავტომანქანა.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

თბილისის გარეუბნის რაიონმა 101,1 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. 100 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 101,1 ცენტნერი პარკი.

ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულება

მარნეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. 500 ტონის ნაცვლად დამზადებულია 510 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფა გრძელდება. მეურნეობის კოლექტივმა იკისრა სამშობლოს გეგმის ზევით ჩააბაროს 200 ტონა ყურძენი.

სანიმუშოდ მოკვეთეზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის!

★ ★ ★

ბინების მშენებლობა ჩამორჩა

ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. ამ დარგის შემდგომი აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული პირუტყვის წესიერ კვებაზე და კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფაზე. სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ასე როდი უდგებიან ამ საკითხს.

ზამთარი კარზე მოგვადგა. მაგრამ ეს არ აფიქრებს სოფლების საკირის, ქვაბისხევის, დვირის, ჭობისხევის, ზანავის, გვერდისუბნის, პატარა მიტარბის კოლმეურნეობათა გამგეობებს. ისინი ჯერაც არ შესდგომიან პირუტყვის ახალი ბინების მშენებლობას, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული. კიდევ მეტი. ძველი ბინები ბევრგან დანგრევის პირას არის მისული და მათი რემონტისათვის თავს არ იწუხებენ.

სოფელ ქვაბისხევის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში მოწინავედ ითვლება. მისი პირუტყვის სადგომები, რომლებიც შუაგულ სოფელშია, ხის ბოგირებით „გაუმაგრებიათ“. უეჭველია, ზამთარს ისინი ვერ გაუძლებენ. ზომებს კი არავინ იღებს.

სოფელ საკირის კოლმეურნეობაში ცუდი მოვლის შედეგად ჯიშიანი პირუტყვი გადაშენდა.

ცუდი მდგომარეობაა რაიონში სილოსის დამზადების მხრივ. წლების მანძილზე კოლმეურნეობებიდან მიღებული თვალსაზრისი ცნობების შედეგად სასილოსე ნაგებობათა რაოდენობა ხელოვნურად იყო გადიდებული. ითვლიდნენ ოცდა ათასამდე ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობებს, შემოწმებით კი აღმოჩნდა მხოლოდ სამი ათასი ტონის ტევადობისა.

არ შეიძლება დავივიწყოთ ის მწარე გაკვეთილი, როცა ორი წლის წინ ათასობით სული პირუტყვი დაიხოცა და კოლმეურნეობებმა ამით უდიდესი ზარალი ნახეს.

რაიონში ყველა პირობა არსებობს მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ ამ შესაძლებლობებს მთლიანად არ იყენებენ. საშენ მასალებზე კოლმეურნეობებს შორის არ უხდებათ წასვლა. ქვა და სილა ყოველ ნაბიჯზეა, ხეტყე იშოვნება. სახელმწიფო გრძელვადიან კრედიტებს იძლევა მეცხოველეობის ბინათმშენებლობისათვის. მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდის. ამის მიზეზებია ჯერ კიდევ მაგრად ფესვგადგმული იერიშობანაა პრაქტიკა და უთავბოლობა.

პირუტყვის ბინების მშენებლობისათვის რაიონში დროს ვეღარ ნახულობენ. თუ ეს საქმე გაახსენდებათ, სამეურნეო წლის მიწურულში, როცა უკვე გვიან არის.

არის ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების არაერი მითითება, რომ კოლმეურნეობებში შეიქმნას მუდმივი სამშენებლო ბრიგადები. ამის შესახებ პარტიის რაიკომსა და რაიაღმასკომსაც გამოაქვთ დადგენილებები, მაგრამ ისინი არ სრულდება. ეს უდისციპლინობას აჩვენებს ძირეულ ხელმძღვანელ მუშაკებს.

მუდმივი სამშენებლო ბრიგადები ყველა კოლმეურნეობაში არ არის შექმნილი და სადაც არის, იქაც არ იყენებენ მათ დანიშნულებისამებრ.

ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებამ (დირექტორი მ. ჯაფარიძე) და ახალდაბის საავეჯო ფაბრიკამ (დირექტორი შ. ბერიძე) ამ ზოლო დროს პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს. მათ ვალდებულება იკისრეს სოფელ ტ[illegible]ის ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ ახალდაბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებს აუშენონ კაპიტალური სადგომები ას-ასი სული პირუტყვისათვის. სამწუხაროდ, ამ კეთილშობილურ საქმეს არ გამოეხმაურნენ რაიონის სხვა ორგანიზაციები. განა ბორჯომის შუშის ქარხანას და რაიონის სხვა საწარმოებს არ შეეძლოთ მიებაძათ ბაკურიანელებისა და ახალდაბელებისათვის?

სოფლების რველისა და ლიკანის კოლმეურნეობებში საღორის და საფრინველის კაპიტალური კედლები ააშენეს და შემდეგ შეაჩერეს მშენებლობა. მათი შეფები — ბორჯომის სალიანდაგო დისტანცია და ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილება არც კი ფიქრობენ დაეხმარონ ამ კოლმეურნეობებს.

მშენებლობაში ხელი გვეშლება აგურისა და კირის უქონლობით. ბევრი ცდის მიუხედავად, წელს ვერ შევძელით მიგვეღო თუნდაც ერთი ცალი აგური საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროს ქარხნებიდან. მიმოწერა ბევრია, მაგრამ უშედეგო.

ბორჯომის რაიონში სააგური და კირის ნედლეულიც ბევრი მოიპოვება. მისი დამუშავების მოწყობა არც ისე საძნელოა, მაგრამ ამ საქმეს გულშემატკივარი არავინ აღმოუჩნდა.

სოფელ ახალდაბაში საქართველოს სარეწაო კოოპერაცია ისეთი ნელი ტემპით აშენებს აგურის ქარხანას, რომ მისი დამთავრების იმედი ძალიან შორს არის.

საჭიროა სერიოზული ღონისძიებები განხორციელდეს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ა. ცუცქირიძე,
ბორჯომის რაიასბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების გამგე.

ზამთარი მოახლოვდა, საკვების დაგროვებაზე არ ზრუნავენ

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები პირველ რიგში მოითხოვს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მაგრამ ამ საქმეს ჩოხატაურის რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ჩოხატაურელებს თივის დაგროვების დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა უპასუხისმგებლობას იჩენს ამ მხრივ. სოფელ ფარცხმის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მეგრელიშვილი) გეგმით 1.100 ცენტნერი თივა უნდა დაემზადებინათ. თივის აღების საუკეთესო დრო ხელიდან გაუშვეს, რითაც გეგმის შესრულება ჩაშალეს. ასეთივე მდგომარეობაა დიდი ვანისა და შუა სურების კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები ლ. რამიშვილი, ვ. ტრაპაიძე).

თივის დამზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ აგრეთვე ბჟოლეთის, იანეულის, ქვენონნის, ბასილეთის, ონჭიქედის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ისევ ძველებურად განაგრძობენ მუშაობას, დანაშაულებრივად უგულებელყოფენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილს არც კი დაუწყია სილოსის ჩადება. რაიონში უნდა დამზადდეს 2.200 ტონა სილოსი. ეს დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

გასულო ზამთარში საკამიასერის, ზემოსურების, დიდი ვანის და სხვა კოლმეურნეობებში ცუდი მოვლისა და საკვების უქონლობის მიზეზით იყო პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ მწარე გაკვეთილს წელს მაინც გაითვალისწინებდნენ და ზამთრისათვის სანიმუშოდ მოემზადებოდნენ, მაგრამ რაიონში გარდატეხა არ იგრძნობა.

პარტიის ჩოხატაურის რაიკომმა და რაიასბჭოს აღმასკომმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ თივისა და სილოსის დამზადების საქმეში ჩამორჩენის უსწრაფესად გამოსწორებისათვის. დრო არ იცდის. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პირუტყვის გამოზამთრების დაწყებას.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სასწრაფო დახმარება გვესაჭიროება

ხარსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეძროხეობის ფერმამ წელს გადაჭარბებით შეასრულა წველადობის დავალება აქ საჭიროზე მეტი რაოდენობით დამზადდა საკვები. მომვლელები და მწველავები მზრუნველობას არ აკლებენ პირუტყვს. ყოველივე ამით დაკმაყოფილდნენ მეურნეობის ხელმძღვანელები და მხედველობიდან გამორჩათ მზადება კარზე მომდგარი ზამთრისათვის. ჩამორჩა სილოსის დამზადება, კეთილმოწყობელია პირუტყვის ბინები.

ამ ოთხი წლის წინათ მეურნეობაში დაიწყო პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინის მშენებლობა. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ყოველმხრივ მზად არ იყო, როცა მასში შევიყვანეთ პირუტყვი, რომელიც დღემდე დაუმთავრებელ ბინაში იმყოფება. ბინას არა აქვს ხის იატაკი, მოუწყობელია ხბოების სადგომი. ეზოში მიწა ყრია, გამეფებულია ანტისანიტარია. მეურნეობის ინჟინერი მიქაძე ნაკლებად ზრუნავს ფერმის კეთილმოწყობაზე. მე არაერთხელ მმიმართავს მისთვის, მაგრამ მისი დაპირება მხოლოდ დაპირებად რჩება. ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე არ ფიქრობს დამხმარე მეურნეობის გამგე ე. ბეროშვილიც.

ცუდად არის დაყენებული პირუტყვის ვეტერინარული მომსახურება. ვეტექიმი გ. გაბარავი და ვეტფერშალი შ. მანშიაშვილი ფერმის აშვიათი სტუმრები არიან, თავიანთ მოვალეობას ზერელედ ეკიდებიან. თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდა, პირუტყვის წესიერი გამოზამთრება აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ვ. მჭედლიშვილი,
ხარსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე.

კავკასიის საზამთრო საძოვრებზე

წელს თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე გააჩაღეს ბინათმშენებლობა. უმოკლეს ვადაში მოამზადეს თერთმეტი ფარეხი 10.860 თხისა და ცხვრისათვის, ორი ბანო, 10 სამ და ოთხოთახიანი ბინები მწყემსებისათვის.

წარმატებით მიმდინარეობს მწყემსთა საცხოვრებელ ბინებში შიგა სადურგლო სამუშაოები. კოლმეურნეობების ყველა ბინაში დაიდგა რადიომიმღებები. კოლმეურნე მშენებლები ყოველდღიურად ისმენენ ახალ ამბებს ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

ბინათმშენებლობაში თავი ისახელეს კალატოზებმა ლ. ჯაბაგიძემ და შ. წიკლაურმა; დურგლებმა შ. ბიაშვილმა, თ. ხარხელაურმა, გ. ნარიმანიძემ, გ. ჩიტაურმა და ნ. მოკვერაშვილმა. ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ მუშები შ. ბადაკიძე, ვ. მჭედლიძე, ლ. ფილაური, გ. იარაჯული, თ. ფილაური და შ. სისაური.

ამ საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ავტომძღოლებს შ. ტუშურს და მ. ბუწანკალურს.

პირუტყვის საზამთრო საძოვრებზე ბინების მშენებლობას კარგად ხელმძღვანელობენ თიანეთის რაიონის სოფლების საყდრიონისა და ზარიძეების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეები შ. კაკოზაშვილი და ლ. უანგრიაშვილი.

კოლმეურნე მშენებლებმა პირობა დადეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე წარმატებით დაამთავრებენ ბინათმშენებლობას და საზოგადოებრივ პირუტყვს ყოველგვარ პირობებს შეუქმნიან სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

ინჟინერი ნ. ყაჯეიშვილი,
ბაჯიგანი. ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრები.

დუშეთის რაიონის სოფელ ძლევის კოლმეურნეობას მეცხვარეობის ფერმის პარალელურად შექმნილი აქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, რომელშიც 250 ძროხაა. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობამ შეიძინა ველის წითელი ჯიშის ძროხები, რომლებიც კარგად ეგუებიან მლეთის პირობებს. ძროხები წელს ზაფხულში მლეთის ადგილობრივ იალაღებზე ბაკავდათ. კარგი მოვლის შედეგად წველადობა გაიზარდა. ამ ჯიშის ფვითეულ ძროხაზე ლაქტაციის პერიოდში მიღებულია საშუალოდ 2.500 ლიტრი რძე. ფერმა დამამზადებელ ორგანიზაციებს იალაღებზეე ამარებდა პროდუქციას. **სურათზე:** ფერმის მწველავები ამზადებენ რძეს ქარხანაში გასაგზავნად.

ფოტო ვ. ზარიძისა.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ

სსრ კავშირის დელეგატის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკუთ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამხ. ვიშინსკიმ 30 სექტემბერს საერთო დისკუსიაში სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

სსრ კავშირის დელეგატმა ამხ. ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასაწყისში ილაპარაკა საერთო დისკუსიაში სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებზე.

მან გააკრიტიკა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ეს გამოსვლები შეიცავდნენ, და იმ როლს შეფასება, რომელიც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეკუთვნოდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია შეინარჩუნოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშრობა, აღნიშნა ვიშინსკიმ, ბევრ შემთხვევაში ასრულებდა სავალალო როლს, არღვევდა თავის მოვალეობას ემოქმედნა, როგორც ამას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მოითხოვს, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, და ამით ძირს უთხრიდა თავის საერთაშორისო ავტორიტეტს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და მისი წესდებისადმი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

შეეხო რა დალესის გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს გულწრფელად სწამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებული მიზნები და პრინციპები, ვიშინსკიმ თქვა:

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს გულწრფელად სწამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და პრინციპები, მაგრამ ამერიკელ ხალხს ცოტა საქმე აქვს ასეთ საკითხებთან. ისინი კი, ვისაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოკიდებულება აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეებთან, ხშირად ანგარიშს არ უწევენ ამ ორგანიზაციის პრინციპებს. არღვევენ მათ და ძლიერ შორდებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს. განა ამას არ მოწმობს ის გარემოება, რომ აგერ უკვე რამდენიმე სესიის განმავლობაში წლითიწლობით მეორდება ამბავი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოწვევისა თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?

ძლიერი წინააღმდეგობა ზოგიერთი დელეგაციისა, რომლებიც ამ საკითხში მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საწინააღმდეგო პოზიციას, ადასტურებს, რომ ეს დელეგაციები არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ იმას, რომ საჭიროა იყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების ერთგულნი.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, განაგრძო ვიშინსკიმ, რომ სამართლიანი მოთხოვნა — ხელი არ შევუშალოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი კანონიერი ადგილი, უნდა დაკმაყოფილდეს და რომ ჩვენს მუშაობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას წარმომადგენელთა მონაწილეობა მეტად სერიოზული წვლილი იქნება იმ ქვეყნების ღონისძიებებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავიანთი საქმიანობის მიზნად ისახავენ მშვიდობის შენარჩუნებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას ეკონომიური, სოციალური და კულტურული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

ამ ამოცანათა შორის არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაჭრის მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება. მთელ რიგ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას ამისათვის, არის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ღონისძიებანი, როგორიც არის ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მათი ამოღება, შეიარაღების არსებითი შემცირება და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი კონტროლის დაწესება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ასამბლეის მიერ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღება, უეჭველია, განსაკუთრებით კეთილნაყოფიერ გავლენას იქონიებდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შემცირებასა და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებაზე.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ არსებობს მოუწესრიგებელ პრობლემებზე ისეთი შეთანხმების მიღწევის ყველა შესაძლებლობა, რომელიც შეეფერება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს, იმ პირობით, თუ დაცულ იქნა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის, სახელმწიფოთა უფლებებისა და ინტერესების ურთიერთპატივისცემის პრინციპი და შესრულებულ იქნა ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი. ასეთ პირობებში მოუწესრიგებელ საერთაშორისო საკითხთა მოწესრიგების პერსპექტივა სავსებით რეალური პერსპექტივაა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამაში. ასეთი პერსპექტივის რეალობისადმი ჩვენი რწმენა ემყარება უწინარეს ყოვლისა იმის რწმენას, რომ ყველა ხალხი დაინტერესებულია მშვიდობით და საერთაშორისო თანამშრომლობით, მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებით.

ამ ჩვენს რწმენაში ვემყარებით ლენინის მოძღვრებას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ, მიუხედავად მათი სოციალური წყობილების განსხვავებისა. ასეთ რწმენას ადასტურებს სსრ კავშირის თითქმის 40 წლის პრაქტიკა ბევრ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებაში, მიუხედავად მათი სოციალური წყობილების განსხვავებისა.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მთელ თავის ღონისძიებებს წარმართავს საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის მძლავრი განვითარებისათვის, ამავე დროს იღებს ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური საგარეოპოლიტიკური ურთიერთობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია.

„ჩვენ, — ამბობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მალენკოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, — თანმიმდევრულად ვახორციელებთ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკას“.

ასეთია საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო პოლიტიკის საფუძველი და მიზანი.

საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებაში საბჭოთა პოლიტიკის მიზანია ჩვენი სახალხო მეურნეობის ეკონომიური დონის, საბჭოთა ადამიანების, მთელი საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

ემყარება რა იმის აღიარებას, რომ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში უნდა იყოს ერთიანი ბანაკი, საბჭოთა მთავრობა ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება ზოგიერთ სახელმწიფოთა ისეთ ცალკეულ კარდახშულ დაჯგუფებათა შექმნას, როგორიც არის, მაგალითად, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომლებიც უპირდაპირდებიან სხვა სახელმწიფოებს და სხვა არა არიან რა, თუ არა სამხედრო ბლოკები აშკარად აგრესიული მიზნებით. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ძირითად პრინციპებს, რომლებზეც დამყარებულია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.

იქ, სადაც ეს პრინციპები სუფევს, გამეფებულია ხალხთა მშვიდობიანი, მეგობრული თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ნდობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცებას, საერთო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ხუთი პრინციპი, რომლებიც ინდოეთმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ბირმამ საჭიროდ ცნეს საფუძვლად დაედოთ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებისათვის დელსა და რანგუნში მიმდინარე წლის ივლისში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად. ამ პრინციპებში ნათქვამია: 1. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; 2. თავდაუსხმელობა; 3. ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; 4. თანასწორობა და ურთიერთ სარგებლობა, 5. მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ამ პრინციპებს.

გენერალური ასამბლეის ამ სესიამ მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის ერთგვარი შენელების პირობებში კორეის ომის შეწყვეტასთან და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენასთან დაკავშირებით.

უდავოა, რომ 1954 წელი დაიწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ნიშნით. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ბერლინის თათბირს, ისე, განსაკუთრებით, ხუთი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირს სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

ბერლინში მოხერხდა ცოტა რამის გაკეთება, მაგრამ იმასაც, რაც იქ გაკეთდა, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მთავარი აქ ის არის, რომ ბერლინის თათბირმა გაარღვია კამხალი, რომელიც ხელს უშლიდა ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრებს, და გზა გაკაფა ჟენევისაკენ. ბერლინის თათბირის დამსახურება ისიც არის, რომ მან უფრო მკაფიოდ, ვიდრე ეს მის მოწვევამდე ჩანდა, ცხადყო ორგანული კავშირი ისეთ პრობლემათა გადაწყვეტას შორის, როგორიც გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხია.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ხელს ვერ შეუწყობენ გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაერთიანებას და მათ შეუძლიათ გამოიწვიონ მხოლოდ გერმანიის გათიშვის განმტკიცება.

საბჭოთა კავშირი აი ამიტომ ასე მტკიცედ და გადაჭრით აფრთხილებს ევროპასა და მთელ მსოფლიოს, რომ მათ ემუქრებათ საშიშროება, რომელიც მოდის ამ მხრივ, ფაშისტი მხეცის ბუნაგიდან, რომელიც მოელის იმას, თუ როდის დადგება ახალი ომის ჟამი, როდის დაჭკრავს ბუკს პრუსია-გერმანიის სამხედრო ხროვა რაინ-რურის იმ მონოპოლისტების მეთაურობით, რომლებსაც ფული და სისხლი სწყურიათ. ეს არ შეიძლება დაშვებულ იქნას. არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ ერთხელ კიდევ გამეორდეს ისტორია, რომ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა განიცადონ ახალი ომის სისხლიანი ტრაგედია.

ფაქტები მოწმობენ, თქვა ვიშინსკიმ, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტები უკვე ამჟამად ძაბავენ ძალებს, რათა მიაღწიონ თავიანთი სამხედრო-სამრეწველო და სამხედრო ძლიერების აღდგენას. ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შეიარაღებულ ძალებში ჯერ დასავლეთ გერმანიის 12 დივიზიის შეყვანა, ხოლო შემდეგ მათი გადიდება 60-მდე ისე, რომ 2-3 წლის შემდეგ დასავლეთ გერმანიის არმიის საერთო რაოდენობა აყვანილ იქნას 800.000 ხიშტამდე, როგორც ამის შესახებ აშკარად განაცხადა ბონის ფაქტიურმა სამხედრო მინისტრმა ბლანკმა, — აი იმის გზა, რომ გაიზარდოს შეიარაღებული ძალები მომავალი „დოიჩლანდ იუბერ ალესისა“, რომელიც, უეჭველია, კვლავ შეეცდება გვიჩვენოს თავისი თავი იმით, რომ ცეცხლითა და მახვილით დაატყდება თავს თავის მეზობლებს, მთელ დანარჩენ ევროპას.

ევროპის უშიშროების პრობლემა, განაგრძო ვიშინსკიმ, სავსებით განუყოფელია გერმანიის საკითხისაგან. როგორც ერთ, ისე მეორე საკითხში არის ორი პრინციპულად სხვადასხვა პოლიტიკური გზა, ერთია — გაერთიანებული, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანია და ასეთი პროგრამის განხორციელების მიზნით სრულად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა, ამასთან გერმანიის გაერთიანება უნდა განხორციელდეს სრულიად გერმანიის ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე სრულიად გერმანიის დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. მეორე გზაზმა თავისი გამოხატულება ჰპოვა დასავლეთის სამი სახელმწიფოს გეგმით, რომლის დამახასიათებელი თავისებურებაა იმის ცდა, რომ შებოჭოს სრულიად გერმანიის მომავალი მთავრობა 50 წლის განმავლობაში იმ მოვალეობით, რომ ასრულებდეს, როგორც ნათქვამია გეგმაში, ბონის მთავრობის „საერთაშორისო უფლებებსა და ვალდებულებებს“. ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, გამორიცხავს გერმანიისათვის ყოველგვარ შესაძლებლობას ამ 50 წლის განმავლობაში იმოქმედოს „თავისუფლად და სუვერენულად“ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით. მეორე მხრივ, ეს გეგმა არ ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ან შეაჩერებენ მილიტარისტულ და რევანშისტულ მისწრაფებათა შემდგომ ზრდას. მეორე მხრივ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ სრულიად ევროპის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს პრინციპი სრულიად ევროპის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კოლექტიური დაცვისა ევროპაში ხელშეკრულების მონაწილე ერთსა თუ რამდენიმე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ არ მიიღონ მონაწილეობა რაიმე კოალიციასა თუ კავშირში და არ დადონ არავითარი შეთანხმება, რომლის მიზნებიც ეწინააღმდეგება ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის მიზნებს. ამრიგად ევროპის ასეთი სისტემა შექმნიდა ევროპის უშიშროების რეალურ პირობებს. იგი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ამ მნიშვნელოვან საქმეში და უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა გერმანიის პრობლემის მოსაწესრიგებლად ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი და დემოკრატიული გერმანიის შექმნის საფუძველზე. თვით ცხოვრება გვიჩვენებს, რომ გერმანიის საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ ევროპის უშიშროების საკითხის მოწესრიგების შემთხვევაში. აგრეთვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა, უეჭველია, ავსტრიის საკითხის გადაწყვეტასაც გააადვილებდა.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ᲐᲛᲮ. Ა. Ი. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ხაზგასმით აღნიშნა რა კორეის საკითხის მოწესრიგების დიდი მნიშვნელობა, ვიშინსკიმ განაცხადა:

გენერალურმა ასამბლეამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ საკითხის გადაჭრის უზრუნველსაყოფად. ჟენევის თათბირზე სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებმა შეიტანეს კონსტრუქციული წინადადებანი ამ საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვის დროს ერთმანეთს დაუახლოვდა თვალსაზრისი საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის დელეგაციებისა, რომლებსაც ერთნაირად დიდმნიშვნელოვნად მიაჩნდათ დაედგინათ კორეის საკითხზე შეთანხმების მიღწევის ძირითადი პრინციპები. ეს იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი კორეის ერთგნული ერთიანობის აღდგენის მომზადებაში. მაგრამ ზოგიერთი სხვა დელეგაციის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს ამ პოზიციას.

მაგრამ იმან, რომ ევროპაში ჩაიფუშა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, ისევე როგორც ჩაიფუშა რეაქციული წრეების გეგმები — არ დაეშვათ საომარი მოქმედების შეწყვეტა ინდოჩინეთში, თქვა ვიშინსკიმ, ვერ შეაჩერა ეს წრეები შემდგომი ცდებისაგან ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რომელიც ხელს უწყობს ახალი მსოფლიო ომის მომზადებას. ასეთი ცდა, უეჭველია, იყო მანილის თათბირი, სადაც რამდენიმე სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით შეთანხმდა მოაწყოს ახალი ბლოკი იმავე მიზნებისათვის, როგორიც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მიზნებია.

ამხ. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ატომური იარაღის დაგროვების ამოცანას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში.

იმ გეზის შესაბამისად, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული ატომური და წყალბადის იარაღი, შეტევის იარაღის ეს ტიპიური სახე, ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებენ ღონისძიებებს, რათა მაქსიმალურად დანერგონ ჯარებში ატომური იარაღი, საარტილერიო რაკეტები ატომური მუხტით და სხვ. და ა. შ.

გასული წელი დასავლეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაცხადა შემდეგ ვიშინსკიმ, გამალებული შეიარაღების გაძლიერების წელი იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ატომური და წყალბადის იარაღის დაგროვებაზე, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა იმითაც, რომ ატომის ენერგიის კომისიისათვის ხარჯები გადიდდა იმ თანხამდე, რომელიც ამ მიზნებისათვის საჭირო ხარჯების ყველაზე დიდი თანხაა მთელი ამ წლების განმავლობაში. ამრიგად, ბ-ნ დალესის სიტყვით რომ ვთქვათ, ატომის ენერგიას გამალებით აქცევენ სოკვდილის იარაღად, ნაცვლად იმისა, რომ იგი გამდიდრების წყარო ყოფილიყო.

ჯერ კიდევ შარშან 8 დეკემბრის წინადადებასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა ისეთი ფაქტის დიდი მნიშვნელობა, როგორიც არის ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა, და თანხმობა განაცხადა დაეწყო მოლაპარაკება ამ საკითხზე. 1954 წლის 30 იანვარს — 2 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს გადასცა პროექტი დეკლარაციისა ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენებაზე ეთუთო უარისთქმის შესახებ. ამ დეკლარაციის პრეამბულაში აღნიშნულია მტკიცე გადაწყვეტილება გადარჩენილ იქნას კაცობრიობა გამანადგურებელი ომისაგან, რომელშიც გამოყენებული იქნებოდა ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი. ამასთან ერთად აღნიშნული იყო მისწრაფება ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი იმას, რომ მეცნიერული აღმოჩენები ატომის ენერგიის დარგში გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით ხალხთა საკეთილდღეოდ, მათი ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად. საბჭოთა მთავრობა ამასთან ემყარებოდა იმას, რომ ატომური მასალების არა რომელიმე ნაწილი, არამედ მთელი მასა მთლიანად უნდა მოხმარდეს მშვიდობიან მიზნებს, რომ ამ დარგში მეცნიერების მიღწევები ემსახურებოდეს არა ომისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის მიზნებს, არამედ სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის აღმავლობის მიზნებს. საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას, რომ ეს შექმნიდა უმაგალითო შესაძლებლობებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღმავლობისათვის, მედიცინაში გამოყენებისათვის, ტექნიკის სრულყოფისა და მეცნიერების შემდგომი პროგრესისათვის. საბჭოთა მთავრობა ამასთან ეყრდნობა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 8 დეკემბრის წინადადება ხელს არ უწყობს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას, რაც ბევრ ქვეყანაში იწვევს სულ უფრო მზარდ შეშფოთებას, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ გამოჩნდა ახალი, სულ უფრო მეტად გამანადგურებელ სახეობათა ატომური და წყალბადის იარაღი.

ახლა გამოქვეყნებულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიწერ-მოწერა აღნიშნულ საკითხზე. ეს მიწერ-მოწერა სრულ შესაძლებლობას იძლევა ამომწურავად გაეცნოთ საბჭოთა კავშირის პოზიციას იმ ღონისძიებათა საკითხში, რომლებიც მიმართულია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისაკენ.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც გაკეთდა წინადადება ატომის პულის შესახებ, არათუ არ შეანელეს გამალებული შეიარაღება, ატომგულის იარაღის დაგროვება და სხვა სამხედრო-აგრესიული ღონისძიებანი, არამედ გააძლიერეს ისინი, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ატომგულის იარაღს ეხება.

მიმდინარე წლის მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, ისინი კვლავ ეყრდნობიან ძალის პოლიტიკას. ამის შესაბამისად ამ პოლიტიკის ცენტრში, რომელიც გეგმავს სამხედრო ხასიათის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, დგას ატომური იარაღი, რომელიც ოფიციალურად ცხადდება ამერიკის საგარეო პოლიტიკის აქტიური განხორციელების საფუძვლად. ასეთი პოლიტიკა წარმოშობს ომის ფსიქოზს ამერიკაში, აღვივებს მტრობასა და სიძულვილს სხვა ხალხებისადმი, აქეზებს ახალი მსოფლიო ომის პროპაგანდას, რაც გარდუვალად იწვევს გამალებულ შეიარაღებას, სულ ახალი და ახალი ბაზების მოწყობას სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, ახალი სამხედრო ბლოკების შეკოწიწებას, რომლებსაც ნიღბავენ ყალბი სიტყვებით კომუნისტური ქვეყნების მხრივ თითქოს რაღაც მითიური საფრთხისაგან თავდაცვის შესახებ.

„ძალის პოზიციის“ პოლიტიკა ამერიკის მონოპოლიებისათვის აგრეთვე იმის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ რაც შეიძლება მაღალ დონეზე შეინარჩუნონ სამხედრო კონიუნქტურა იმ იმედით, რომ ხელი შეუშალონ კრიზისული ციკლის განვითარებას, რომელიც დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, და იმ ვარაუდით, რომ კიდევ უფრო გამდიდრდნენ სამხედრო მიწოდებებით.

საბჭოთა კავშირი, თქვა დასასრულ ვიშინსკიმ, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის პოზიციას, მოითხოვს სერიოზულ და რადიკალურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებას, და ამრიგად თავიდან აგვაცილებენ ახალ ურიცხვ უბედურებასა და მილიონობით და მილიონობით ადამიანის დაღუპვას.

საბჭოთა კავშირი თავის მუშაობას ყოველ სესიაზე უძღვნიდა და ახლაც უძღვნის იმ ღონისძიებებს, რომ მიღწეულ იქნას ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა. საბჭოთა კავშირი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გენერალურმა ასამბლეამ უნდა გადაწყვიტოს და შეუძლია გადაწყვიტოს ეს ამოცანა, შეასრულოს ხალხთა ნება, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობასა და უშიშროებას.

ნათქვამის შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დელეგაციას გენერალური ასამბლეის IX სესიის განსახილველად შემოაქვს შემდეგი რეზოლუციის პროექტი.

„შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ“.

შემოაქვს რა ეს წინადადებანი, განაცხადა ვიშინსკიმ, საბჭოთა კავშირის დელეგაცია ღრმად დარწმუნებულია, რომ ამ წინადადებებს დიდი ყურადღებით შეხვდებიან, რომ ეს წინადადებანი საბავენ გზას, რომელიც დაეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს თავისი მოვალეობა ატომური იარაღის გამოყენების საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ᲑᲐᲜᲙᲔᲢᲘ ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲗᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲞᲐᲞᲘᲕᲡᲐᲪᲛᲔᲚᲐᲓ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 4 ოქტომბერი, (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

გუშინ საღამოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ბანკეტი გამართა მთავრობების დელეგაციათა პატივსაცემად, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის დღესასწაულზე.

ბანკეტზე იყვნენ: საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი, პოლონეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ბოლესლავ ბერუტი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრი ციო ენ გენი, რუმინეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი გეორგე აპოსტოლი და დელეგაციის წევრი პეტრუ გროზა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი სამბუ, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ვაცლავ კოპეცკი, უნგრეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ანდრაშ ხეგედიუში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი დოქტორი ლოტარ ბოლცი, ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი რაიკო დამიანოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ხოანგ მინ ზიამი, ალბანეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ბეჭარ შტიფელა და აღნიშნული მთავრობების დელეგაციათა წევრები.

სტუმრებს შორის იყვნენ: ჩეხოსლოვაკიის ელჩი ფ. კომზალა, პოლონეთის ელჩი ს. კირილიუკი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ხოანგ ვან ხოანი, რუმინეთის ელჩი ი. კოკოვინუ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ. [illegible], [illegible] დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ი. კენგი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ცოი ირი, სსრ კავშირის ელჩი პ. თ. იუდინი, ბულგარეთის ელჩი დ. დიმოვი, ალბანეთის ელჩი ნ. ნასე და უნგრეთის ელჩი ა. სკლადანი.

ჩინეთის მხრივ ბანკეტზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები სუნ ცინ-ლინი, ლინ ბო-ძიუი, ლი ძი-შენი, შენ ძიუნ-ეუ, ხუან იან-პეი, პინ ჯენი, ლი ვეი-ხანი, ჩენ შუ-ტუნი, დალაი-ლამა და საიფუდინი, მუდმივი კომიტეტის წევრი პანჩენ-ლამა.

აგრეთვე ესწრებოდნენ: სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დე-ხუაი, დენ სიაო-პინი, დე ძიმ-ხუეი, ხე ლუნი, ულანფუ, ლი ფუ-ჩუნი და ლი სიან-ნიანი, სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივანი სი ჯუნ-სიუნი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ლი კენ-ნუნი, ჯან ხან-ფუ და უ სიუ-ციუანი, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დუნ ბი-უ, თავდაცვის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ლიუ ბო-ჩენი, ნე ჟუნ-ჯენი, ე ძიან-ინი, ჩენ ციანი, ჯან ჯი-ჯუნი, ფუ ძო-ი და ლუნ იუნი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები ხუან კე-ჩენი და ჯან ძუნ-სუნი.

ბანკეტმა გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ბანკეტის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ სიჯიმინის კარს იქით უშენი ადგილის ნაღვლიანი სურათი მოჩანდა. ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანში მშენებელთა თავდადებული შრომით ძირეულად შეიცვალა ამ რაიონის სახე. სიჯიმინის უძველესი კარიდან, რომელზეც წარწერილია სიტყვები: „გაუმარჯოს ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა დიად და ურღვევ მეგობრობას“, მთელი სიდიადით მოჩანს სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევების გამოფენის მონუმენტური შენობა, რომელსაც აგვირგვინებს მოოქროვილი შპილი ხუთქიმიანი ლალის ვარსკვლავით.

საბჭოთა არქიტექტორებმა და ინჟინრებმა ჩინელ მშენებლებთან თანამშრომლობით შექმნეს არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც გამოირჩევა კომპოზიციის მთლიანობითა და სილაღით, ზუსტი პროპორციებით, მსუბუქი და ლამაზი ფორმებით.

გამოფენის ცენტრალური შესასვლელის წინ ვრცელი მოედანია, რომელსაც ნახევარწრედ გარს ეკვრის თაღედი. ეს თაღედი მთავარ შესასვლელს აკავშირებს გვერდის შესასვლელებთან. თაღედზე 16 მოკავშირე რესპუბლიკის გერბებია. მთავარი შესასვლელის კოშკზე სსრ კავშირის სახელმწიფო გერბია. მოედნის გარშემო ფლაგშტოკებზე ფრიალებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, მოკავშირე რესპუბლიკების ალმები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალმები.

დღეს გაიხსნა გამოფენა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე ხუთი ათასამდე კაცი შეიკრიბა. დამსწრეთა შორის არიან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები სუნ ცინ-ლინი, ლინ ბო-ძიუი, ლი ძი-შენი, ჯან ლანი, ლო ჟუნ-ხუანი, შენ ძიუნ-ეუ, გო მოჟო, პინ ჯენი, ლი ვეი-ხანი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დე-ხუაი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დუნ ბი-უ და სხვები.

გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი, მთავრობების დელეგაციათა მეთაურები: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბოლესლავ ბერუტი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — კიმ ირ სენი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გეორგე აპოსტოლი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — სამბუ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ვაცლავ კოპეცკი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ანდრაშ ხეგედიუში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლოტარ ბოლცი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — რაიკო დამიანოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ხოანგ მინ ზიამი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბეჭარ შტიფელა, აგრეთვე მთავრობების დელეგაციათა წევრები.

მიტინგს, რომელიც გაიმართა გამოფენის გახსნის გამო, დაესწრნენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატები, მთავრობის დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მრავალი უცხოელი სტუმარი, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, პეკინში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები, ჩინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

მიტინგი გახსნა ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის მდივანმა ძი ჩაოდინმა. სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინმა.

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში, — თქვა პ. თ. იუდინმა, — ჩვენ ვხსნით საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევების გამოფენას.

გამოფენის გახსნა ემთხვევა ჩინელი ხალხის დიდ დღესასწაულს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გამოფენა, რომელიც დღეს იხსნება, დაეხმარება ჩინელ ხალხს კიდევ უფრო მეტად გაეცნოს საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომის გმირობას, მის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებს. ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიღწევებს, დახმარებას გაუწევს ჩინელ ხალხს, დაეხმარება მას შეისწავლოს და შეითვისოს ის საუკეთესო, რასაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა თავის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა. ეს გამოფენა, თქვა მან, გაამდიდრებს ჩვენს ხალხს მშენებლობის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა კავშირის შესანიშნავი კულტურისა და ხელოვნების გამოცდილებით. იგი საბჭოთა ხალხისაგან ისწავლის შეუდრეკელ მისწრაფებას ბრძოლისადმი და შრომაში თავდადებას, რათა მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენს წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების შესრულებას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ნესტეროვმა, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევათა ეს გამოფენა ხელს შეუწყობს საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ამხ. ნესტეროვი გამოფენას გახსნილად აცხადებს. ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს.

სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი ჭრის ალისფერ აბრეშუმის ლენტს.

მიტინგის მონაწილეები დარბაზებში შედიან.

ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ გამოფენის ექსპონატებს.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 11.500-ზე მეტი ექსპონატი, რომლებიც მოთავსებულია როგორც დარბაზებში, ისე ღია მოედნებზე.

გამოფენას 135 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია უჭირავს. გამოფენის დარბაზებს გარდა აქ აშენებულია 3.200-ადგილიანი საზაფხულო თეატრი, თითქმის ათასადგილიანი კინოდარბაზი, რესტორანი „მოსკოვი“ საზაფხულო კაფეთი და ადმინისტრაციული ქალაქი.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე საერთო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ეთიოპიის, ბირმისა და ეკვადორის წარმომადგენლებმა.

ეთიოპიის წარმომადგენელი დერესა მიემხრო სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაფართოებას.

დერესა მიესალმა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებას „შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ“.

ეკვადორის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭო დააკრიტიკა იმისათვის, რომ მან უარი თქვა განეხილა გვატემალის მთავრობის საჩივარი ამ ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით. (როგორც ცნობილია, ამერიკის და ზოგიერთმა სხვა დელეგაციებმა არ დაუშვეს გვატემალის საჩივრის განხილვა უშიშროების საბჭოში. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გვატემალის საჩივრის განხილვას).

ბირმის წარმომადგენელმა ბარინგტონმა განაცხადა, რომ ბირმელი ხალხი მიესალმება შეთანხმებას ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. რაც მიღწეულ იქნა ჟენევის თათბირზე. ძან რწმენა გამოთქვა, რომ ინდოჩინეთის პრობლემა წარმატებით გადაიჭრება მთლიანად. კორეასა და ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტა, თქვა ბირმის დელეგატმა, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ რაიონებში მშვიდობის აღდგენის გზაზე.

მოუწოდა რა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისაკენ, ბარინგტონმა განაცხადა, რომ ბირმა იმ თვალსაზრისს ადგას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა. იგი მიემხრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა სუვერენული სახელმწიფოს მიღებას. მან განაცხადა, რომ ბირმის დელეგაცია აზრს გამოთქვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის წარმომადგენლობის სასარგებლოდ, რამდენადაც ტაივანელი ხელისუფალნი „ჩინელ ხალხს არ წარმოადგენენ“. მან დასძინა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უდიდესი საერთაშორისო პრობლემების განხილვა ისე, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არ მიიღო მონაწილეობა, რეალურ შედეგს ვერ მოგვცემს.

ბირმის წარმომადგენელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია შემდგომ გამალებულ შეიარაღებასთან. ბირმის დელეგაცია, განაცხადა მან, მტკიცედ ემხრობა იმას, რომ განიარაღების კომისიამ და გენერალურმა ასამბლეამ გამოიძებნონ ისეთი საკითხების გადაჭრის გზები, როგორიც არის ატომური შეიარაღებისა და ჩვეულებრივი ტიპის იარაღის საკითხი.

ბირმის წარმომადგენელმა გენერალური ასამბლეის ყურადღება მიაქცია იმას, რომ მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში კვლავ არსებობს კოლონიალიზმი, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. კოლონიალიზმი, განაცხადა მან, „არის ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევა და საფრთხე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის“. შეეხო რა სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების საკითხს, მან თქვა, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ესაჭიროებათ პირველ რიგში ეკონომიური და ტექნიკური დახმარება და არა ომი.

გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე გამოვიდნენ ბრაზილიისა და გვატემალის წარმომადგენლები. ბრაზილიის წარმომადგენელმა ლემმ „კარგი ახალი ამბავი“ უწოდა შეიარაღების შემცირებისა და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადების შეტანას და განაცხადა, რომ ბრაზილიის დელეგაცია „ინტერესით შეისწავლის“ ამ წინადადებას.

ბრაზილიის წარმომადგენელი მიემხრო უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ვეტოს გამოყენების უფლების შეზღუდვას.

გვატემალის წარმომადგენელი თავის სიტყვაში ცდილობდა გაემართლებინა სამხედრო ინტერვენცია გვატემალაში, რის შედეგადაც ჩამოგდებულ იქნა ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობა.

ამით დაიხურა სხდომა. შემდეგი სხდომა გაიმართება 4 ოქტომბერს დილით.

ᲩᲐᲜᲙᲐᲘᲨᲔᲚ ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔᲗᲘᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲪᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲛᲘᲡ „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲝᲢᲕᲐᲚᲓᲘᲡ“ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ჩანკაიშელ მეკობრეთა მიერ ღია ზღვაში შეპყრობილი პოლონეთის სავაჭრო გემის „პრეზიდენტ გოტვალდის“ მეზღვაურთა ოჯახებმა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარეს ვან კლეფენსს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც მოითხოვენ დახმარება გაუწიონ მათი შვილების, მამების, ქმრებისა და ძმების რეპატრიაციაში, რომლებიც პატიმრობაში არიან კუნძულ ტაივანზე.

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲓ ᲑᲐᲒᲓᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ლიბანის გაზეთმა „ორიანმა“ გამოაქვეყნა სირიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჰალედ ბაგდაშის ინტერვიუ. ბაგდაში ამ დღეებში აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად.

ბ. ბაგდაშმა აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგებს სირიაში კმაყოფილებით შეხვდნენ სახალხო პატრიოტულ და დემოკრატიულ წრეებში. ბაგდაშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პირადი წარმატება არჩევნებში „იზოლირებული ფაქტი როდია, არამედ ასახავს საზოგადოებრივი აზრის ტენდენციას, რომელმაც გამოიწვია ქალაქებში დამასკოსა და ჰამაში იმპერიალისტური გეგმების მომხრეთა დამარცხება“.

უპასუხა რა კითხვაზე სხვა პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ, ბაგდაშმა თქვა: „ჩვენი ხაზი ის არის, რომ შეგქმნათ ეროვნული ფრონტი, რომელიც გააერთიანებს ხალხის ძალებსა და დემოკრატიულ ელემენტებს. დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური რწმენისა, რადა ჩავშალოთ იმპერიალისტური სამხედრო გეგმები, რომელთაც თავს აბვევენ სირიას, განვახორციელოთ დემოკრატიულ თავისუფ

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა წინადადებაზე შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ

პარიზი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საagენტოს ნიუიორკელი კორესპონდენტი, კომენტარს უკეთებს რა წინადადებას შეიარაღების შემცირების საკითხზე, რომელიც 30 სექტემბერს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში შეიტანა, წერს, რომ ამ დღეს „გადადგმულ იქნა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მრავალი წლის განმავლობაში შეიარაღების პრობლემის გადაჭრის მიმართულებით“.

შეუძლებელია შემცირებულ იქნას ის მნიშვნელობა, რაც მთელი მსოფლიოს თვალში აქვს ვიშინსკის გამოსვლას, აცხადებს კორესპონდენტი. თუ შეიარაღებისადმი კონტროლი, ხოლო შემდეგ თანდათანობით განიარაღება და კონტროლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უძრაობის მდგომარეობიდან გამოვა, მაშინ, უეჭველია, მოგვიხდება გადავსინჯოთ სამხედრო კავშირები, ასევნობანი ეროვნული თავდაცვისათვის და შეიარაღების გეგმები.

პარიზი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მიერ შეტანილი წინადადების მნიშვნელობას მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის უპირისპირებს ლონდონის მოლაპარაკებას გერმანიის შეიარაღების შესახებ, რომელიც, როგორც გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, ხალხებში შეშფოთების კანონიერ გრძნობას იწვევს.

„ცხრა ქვეყნის“ მოლაპარაკებასა, — წერს „ლუმანიტე“, — და იმ მოლაპარაკებს შორის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიშინსკის განცხადებით დაიწყო, მეტი მანძილია, ვიდრე ოკეანე, რომელიც ლონდონს აშორებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელს. პროექტები, რომლებსაც ბრიტანეთის დელეგაციაში ადგენენ, ხალხთა კანონიერ შიშსა და უკმაყოფილებას იწვევენ, მაშინ როცა განიარაღების პერსპექტივები მათ უდიდეს ამედს უნერგავენ.

ლონდონში საქმე ეხება ვერმახტის აღორძინებას... გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, პირიქით, გადადგმულია ახალი ნაბიჯი, რომელმაც შესაძლებლობა უნდა შექმნას აღმოიფხვრას დაბრკოლებანი განიარაღების გზაზე. მართლაც, საბჭოთა კავშირი თანახმაა ახალი მოლაპარაკების ამოსავალ წერტილად მიიღოს საფრანგეთ-ბრიტანეთის ამა წლის 11 ივნისის შემრნახდეში. განა შეიძლებოდა შეთანხმების მისაღწევად კეთილი ნებისა და მისწრაფების არსებობის უკეთესი დამამტკიცებელი საბუთის მიცემა? სსრ კავშირი წინადადებას ძლევა მოლაპარაკება მოეწყოს ამავე საფუძველზე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა გვირჩევდა“.

როგორც გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, „სსრ კავშირის წინადადება მოწმობს მის მისწრაფებას დაძაბულობის შენელებისადმი“.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ იუწყება, რომ ა. ი. ვიშინსკის წინადადებას საფრანგეთის საagრეო საქმეთა სამინისტროში დიდი ინტერესით განიხილავენ.

გაზეთი „კომბა“, აღიარებს რა, რომ სსრ კავშირის წინადადებებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში იმედი აღძრეს, ამავე დროს ამტკიცებს, თითქოს ეს წინადადებანი ვერ გადაჭრიან განიარაღების პრობლემას.

ლონდონი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ობსერვერის“ ნიუიორკელი კორესპონდენტი წერს, რომ, მიუხედავად საბჭოთა წინადადებისა შეიარაღების შემცირების შესახებ, ინგლისი არ აპირებს დათანხმოს გერმანიის შეიარაღების რაიმე გადადებას და რომ ინგლისს დელეგატი სელვინ ლოიდი ამას განაცხადებს თავის პასუხში ვიშინსკისადმი. „მიუხედავად ამისა, — წერს კორესპონდენტი, — ინგლისს სახელმწიფო მინისტრი (ლოიდი) არ აპირებს წავიდეს იმ ოპტიმიზმის ძნელად გადასალახავი ნაკადის წინააღმდეგ, რომელმაც მოიცვა გაერთიანებული ერები ვიშინსკის სიტყვის შემდეგ“. ფაქტიურად, განაგრძობს კორესპონდენტი, ინგლისელებს საკმაოდ საჩოთირო მდგომარეობა უკავიათ ორ მოკავშირეს შორის. თუ ისინი უარს იტყვიან დაეთანხმონ რუსებს, ამით რისკს ეწევიან, რომ ფრანგები უარყოფენ შეთანხმებას გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ. მეორე მხრივ, თუ ისინი მეტად დიდ მზადყოფნას გამოიჩენენ, ამით გასწევენ რისკს, რომ მათ გაემიჯნებიან ამერიკელები.

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა წინადადებას შეიარაღების შემცირების საკითხზე, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ჰამილტონი წერს: „საბჭოთა კავშირის ახალ მოულოდნელ წინადადებათა შედეგად უეცრად გაჩნდა ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების პერსპექტივები, რაც ყველაზე ეიმედო ჩანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წარუმატებელ საქმეთა შორის“.

ამასთან ერთად, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ისინი, „ვინც კვლავ პესიმისტურად ეპყრობა ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის შესაძლებლობას“, ამტკიცებენ, რომ „კრემლმა პროპაგანდისტული ნაბიჯი გადადგა“ შეერთებული შტატების გამოსაჯავრებლად.

ბუდაპეშტი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). უნგრეთის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომელიც ა. ი. ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის სესიაზე შეიტანა შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ. გაზეთები ამ წინადადებას სტატიებს ეძღვნიან.

სრულიად უეჭველია, წერს გაზეთი „საბად ნეპი“, რომ ამჟამად საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საბჭოთა წინადადება, რომელიც ვიშინსკიმ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე. საბჭოთა პროექტის თავისებურება ის არის, რომ იგი საფუძვლად იღებს საფრანგეთისა და ინგლისის ივნისის წინადადებას, ამ წინადადების უდიდესი მნიშვნელობა, განაგრძობს გაზეთი, ის არის, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა გადაჭრას საერთაშორისო დავა მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებისა და შეიარაღების შესახებ, დავა, რომელიც უკვე მრავალი წელიწადია წარმოებს.

რას მოასწავებდა საბჭოთა წინადადების მიღება? — კითხულობს „საბად ნეპი“. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას — შემობრუნებას საერთაშორისო ურთიერთობაში. შეიარაღების შემცირების და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადება გამოიწვევდა შეიარაღების იმ ტვირთის შემსუბუქებას, რაც ხალხებს აწევს მხრებზე, საერთაშორისო ნდობის განმტკიცებას, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობის ნამდვილ გაუმჯობესებას და ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირებდა ომის საფრთხეს.

ახლა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ამოცანა, დაასკვნის გაზეთი, ის არის, რომ თავისი ნების გამოთქმით ხელი შეუწყოს საბჭოთა წინადადების წარმატებას.

ბუქარესტი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). რუმინეთის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა საბჭოთა კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეტანილ წინადადებას შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ.

გაზეთმა „სკინტეიამ“ საბჭოთა წინადადებას უძღვნა მოწინავე სტატია სათაურით „საერთაშორისო ცხოვრების დიდი მოვლენა“. პროექტი, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა, ნათქვამია სტატიაში, წარმოადგენს იმ დაუცხრომელ ღონისძიებათა ორგანულ ნაწილს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი იღებს, რათა აღმოიფხვრას ატომური ომის საფრთხე. საბჭოთა კავშირის წინადადება სახავს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, საერთაშორისო დაძაბულობის ახალი და დადამწყვეტი შემცირების, მშვიდობის განმტკიცების გზას.

დელი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს, რომ დელის ოფიციალურ წრეებში მიესალმებიან საბჭოთა წინადადებას როგორც მასობრივი მოსპობის იარაღისადმი კონტროლისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებისაკენ გადადგმულ დადებით ნაბიჯს. გაზეთი დასძენს, რომ ინდოეთი მხარს დაუჭერს განიარაღების შესახებ ყოველგვარ შეთანხმებულ წინადადებას, ე. ი. მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ იარაღის დაგროვება და ფართოდ გავრცელებული სამხედრო ბაზების შექმნა მთავარი ფაქტორებია, რომლებიც მსოფლიოს ხალხთა შორის ეჭვსა და შიშს იწვევენ.

შეთანხმება კამბოჯიდან ვიეტნამელ მოხალისეთა ევაკუაციის შესახებ

შანხაი, 2 ოქტომბერი. (საkდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააgენტო გადმოგვცემს, რომ ქხმერის წინააღმდეგობის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობასა და ვიეტნამელ მოხალისეთა სარდლობის დელეგაციამ და კამბოჯის ეროვნული შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ დადეს შეთანხმება კამბოჯიდან ვიეტნამელ მოხალისეთა ევაკუაციის შესახებ.

შეთანხმება განსაზღვრავს მხარეთა ამოცანებს ევაკუაციის საქმეში, სახელდობრ: ევაკუაციისადმი მეთვალყურეობის ორგანიზაცია, უშიშროების, სატრანსპორტო საშუალებათა უზრუნველყოფა. ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთა გადაცემა და სხვ.

ევაკუაცია, როგორც გათვალისწინებულია შეთანხმებით, განხორციელდება თანმიმდევრულ პარტიებად. ვიეტნამელ მოხალისეთა სარდლობა ვალდებულია გადასცეს კამბოჯის ეროვნული შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას ცნობები საევაკუაციო პარტიის და ევაკუაციის ვადების შესახებ 48 საათით ადრე, რათა უკანასკნელს შეეძლოს უზრუნველყოს ევაკუაციის უსაფრთხობა.

ვიეტნამ-კამბოჯის საზღვრამდე ვიეტნამელ მოხალისეთა თვითეულ საევაკუაციო პარტიას გაჰყვება შერეული კომისიის წარმომადგენელი, რათა უზრუნველყოს ურთიერთობა მხარეთა შორის და მოაწესრიგოს შესაძლო კონფლიქტები ევაკუაციის დროს. გზებში, რომლებითაც ევაკუაცია მოხდება, გამოყვანილ უნდა იქნან კამბოჯის სამხედრო პოლიციის პატრულები, რომლებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა წესრიგის დაცვისათვის. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ვიეტნამელ მოხალისეთა დროებითი დაბანაკების რაიონებში კამბოჯის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები არ უნდა გასცდნენ თავიანთ საგუშაგოების ფარგლებს. ევაკუაციის დღეებში კამბოჯის ეროვნული შეიარაღებული ძალების რაზმები, რომლებიც დაბანაკებული არიან იმ გზების გაყოლებით, რომლებთაც ვიეტნამელი მოხალისეები გაივლიან, არ უნდა გასცდნენ თავიანთი საგუშაგოების ფარგლებს.

ევაკუაცია დამთავრდება 1954 წლის 28 ოქტომბრამდე, უკანასკნელ ვადამდე, რომელიც ჟენევის შეთანხმებამ დაწესა.

დამთავრდა ლეიბორისტული პარტიის 53-ე ყოველწლიური კონფერენცია

სკარბოროო, 1 ოქტომბერი. (საkდესის სპეc. კორ.). ლეიბორისტული პარტიის 53-ე ყოველწლიური კონფერენციის საბოლოო სხდომაზე კამათი განაღდა ზოგიერთ საკითხთა გარშემო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ლეიბორისტული მოძრაობის ერგებთან ურთიერთობას. ეს საკითხი ბოლო ხანებში ინტენსიურად ეხებოდა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკას. ეს განსაკუთრებით ჩანდა, როცა იხილავდნენ რეზოლუციას ცხოვრების ღირებულების საკითხზე, რომელიც წამოყენებულ იქნა ლეიბორისტული პარტიის სამი ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით. რეზოლუცია მოითხოვდა, რომ მომავალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ შეამციროს ცხოვრების ღირებულება, ოსისაც უნდა დაეწესოს კონტროლი მოგებისადმი, ავრეთვე შეამციროს შეიარაღების ხარჯები. რეზოლუცია მოუწოდებდა მიეღოთ დაუყოვნებლივი ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ გადაესინჯათ ცხოვრების ღირებულების ინდექსია განსაზღვრის არსებული სისტემა, რომელიც არ ასახავს იმ საქონლისა და სამსახურის ფასების ზრდას, რომლებზეც უმთავრესად დამოკიდებულია მუშათა კეთილდღეობა. მაგალითად, ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ, თუ ბინის ქირა 50 პროცენტით დიდდება, ცხოვრების ღირებულების ინდექსი მხოლოდ 3,5 პროცენტით იზრდება.

მეორე ორატორი შეეხო მძიმე ტვირთს, რომელიც მუშებს აწვება შეიარაღებისათვის უდიდესი თანხების დახარჯვის შედეგად, და განაცხადა, რომ დადგა ამ ტვირთის შემსუბუქების დრო.

აღმასკომმა გაილაშქრა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. კენჭისყრის დროს იგი უარყოფილ იქნა (რეზოლუციას ხმა მისცა 2.132 ათასმა კაცმა და ფინააღმდეგ — 3.758 ათასმა კაცმა).

შემდეგ წარმოდგენილ იქნა 17 რეზოლუცია და მათი შესწორებანი, რომლებშიც გამოთქმული იყო ინგლისელი ხალხის მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი. ორატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ამ რეზოლუციების მხარდასაჭერად, აღნიშნავდნენ, რომ ახლა, როდესაც დაიწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, დროა გადაისინჯოს სამხედრო ბეგარის სისტემა. ერთმა დელეგატმა ქალმა განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაცია, რომელსაც ის ეკუთვნის, ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის ჯარები გამოყენებულ იქნან მონოპოლიების ინტერესებისათვის კენიაში, მალაიასა და ბრიტანეთის გვიანაში.

ეს რეზოლუციები განსახილველად გადაეცა აღმასკომს.

კონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა იმ საკითხთა მნიშვნელოვანი ნაწილის განხილველად, რომლებიც დღის წესრიგში იყო. მნიშვნელოვანი რეზოლუციები ნაციონალიზაციისა და განათლების საკითხებზე აღმონდა იმ რეზოლუციათა რიცხვში, რომლებიც განსახილველად გადაეცა ახალ აღმასკომს.

კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ახალი აღმასკომის სხდომაზე, რომელიც ამ კვირაში გაიმართა, აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ედიტ სამერსკილი, ხოლო ეიცე-თავმჯდომარედ — მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის წარმომადგენელი პერსი ნაიტი.

ბელგიის მშვიდობის მოამხრეთა კრებაზე

ბრიუსელი, 2 ოქტომბერი. (საkდესი). ბრიუსელში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა კრება, რომელიც მიეძღვნა იმას, რომ ბელგიის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს იზაბელა ბლუმს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია. პრემია ამას წინათ გადაეცა მას მოსკოვში.

მოსადიკის მომხრეთა გასამართლება ირანში

თეირანი, 2 ოქტომბერი. (საkდესი). გაზეთ „ეთელაათის“ ცნობით, 30 სექტემბერს გაიმართა სამხედრო სასამართლოს მეორე სხდომა ირანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ფატემის, მეჩვიდმეტე მოწვევის მეჯლისის დეპუტატების შაეგანისა და რაზავის საქმეზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ სხდომაზე ისევე, როგორც წინანდელზე, ფატემი საკაცით მოიყვანეს.

ფატემის თხოვნაზე, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქციოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, თავმჯდომარემ უპასუხა, რომ, სამეფო კურნალო კომისიის დასკვნის თანახმად, ფატემის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას შეუძლია დაესწროს სასამართლოს სხდომებს.

სასამართლოს მეორე სხდომაზე შაეგანი განაგრძობდა სიტყვას სასამართლოს კომპეტენტურობის შესახებ. მან, კერძოდ, თქვა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას პოლიტიკური ხასიათი აქვს და, მაშასადამე, იგი უნდა განიხილოს მხოლოდ სამოქალაქო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

ბულგარეთის პროფკავშირული დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად ბულგარეთის პროფკავშირული დელეგაცია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ალისაროვის მეთაურობით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, იყვნენ თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში და შამპანური ღვინოების ქარხანაში, გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუმრები თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

3 სექტემბერს ბულგარეთის პროფკავშირული დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საkდესი).

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დიდი მუშაობა მიმდინარეობს „თბილისის ზღვის“ ნაპირების გასამწვანებლად. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მშრომელებიც, რომლებიც კვირადღეობით ხალისით მუშაობენ მცენარეებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. გასულ კვირადღეს აქ 25-30-წლიანი ფიქვები დარგეს. სურათზე: ფიქვების დარგვა „თბილისის ზღვის“ ნაპირზე.

ფოტო ო. თურქიასი.

სპორტის ამგვეგი

საბჭოთა კალათბურთელების წარმატება ეგვიპტეში

კაირო, 3 ოქტომბერი. (საkდესი). გუშინ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი შეხვდა ეგვიპტის კალათბურთელთა მეორე ნაკრებ გუნდს.

საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 57:37.

„არსენალი“ — „დინამო“

დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მორიგი საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში. დედაქალაქის დინამოელები თავიანთ მოედანზე შეხვდებიან ლონდონის კლუბის „არსენალის“ პროფესიულ ფეხბურთელთა გუნდს. ეს იქნება ინგლისელ ფეხბურთელთა პირველი გამოსვლა საბჭოთა კავშირში.

1945 წელს მოსკოვის დინამოელებმა ინგლისში გამართეს საერთაშორისო შეჯიბრება ოთხ გუნდთან. მათ შორის შეხვდნენ „არსენალს“. საბჭოთა სპორტსმენებმა ეს მატჩი მოიგეს ანგარიშით 4:3.

„არსენალის“ გუნდის ფეხბურთელებს საერთაშორისო ასპარეზობების დიდი გამოცდილება აქვთ.

„სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში

3 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი თამაში „სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკის“ (მოსკოვი) და „დინამოს“ (კიევი) გუნდები, შეხვედრა მოიგეს კიელელებმა ანგარიშით 3:1. (საkდესი).

მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები

3 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო ხუთი ქალაქის მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების თამაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალ პრიზზე, რომელიც დაარსდა 1954 წელს. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის. ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და თბილისის სპორტსმენები.

კვირას ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და მინსკის, მოსკოვისა და თბილისის გუნდები. ლენინგრადელებმა მოუგეს მინსკელებს ანგარიშით 2:0. თბილისელებმა მოუგეს მოსკოველებს ანგარიშით 1:0. (საkდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ

გერმანიის პროგლეგმის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის საფრანგეთის კომიტეტის რეზოლუცია

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საkდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში გაიმართა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის საფრანგეთის კომიტეტის სხდომა. სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პროექტი უარყოფილია. ეს დიდი წარმატებაა, რომლითაც ვამაყობთ, რადგან მონაწილეობას ვიღებდით მის უზრუნველყოფაში. მაგრამ გერმანიის შეიარაღების საფრთხე კვლავ არსებობს. სწორედ ამ საფრთხის წინააღმდეგ ეწეოდა ბრძოლას ჩვენი კომიტეტი; ახლა საჭიროა ბრძოლის განგრძობა.

ამ ბრძოლაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი მოსაზრებებით:

1. გათიშული გერმანიის შეიარაღება ევროპის ცენტრში ომის მუდმივ საფრთხეს შექმნიდა;

2. იგი დაჩქარებდა გერმანიაში ნაციონალიზმისა და მილიტარიზმის ჩანასახის განვითარებას და საშიში წახალისება იქნებოდა იმათთვის, ვისაც არაერთგზის დაუდასტურებია მისწრაფება მიაღწიოს ტერიტორიულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ძალის გამოყენებით;

3. იგი მთელ მსოფლიოში დაიჩქარებდა გამალებულ შეიარაღებას, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მაყენებდა ჩვენს ეკონომიკასა და ჩვენს თავისუფლებებს;

4. იგი ხელს შეუშლიდა გერმანიის გაერთიანებას და ნამდვილ ევროპის შექმნას, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგენია არა როგორც კოალიცია, არამედ როგორც ხალხთა დაახლოება, რომლებიც ისწრაფვიან უზრუნველყონ ერთობლივი უშიშროება და განვითარონ სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა. იგი მოსპობდა, კერძოდ, საფრანგეთისა და გერმანიის მტკიცე დაახლოების შანსებს.

გერმანიის შეიარაღების მხოლოდ პერსპექტივამ უკვე მოწამლა საერთაშორისო ურთიერთობა, გაუარესა საფრანგეთის მდგომარეობა ევროპაში და დიდი გათიშვის ელემენტი შეიტანა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. სხვათა შორის სამი წლის მანძილზე არაფერს არ გუმართლებია ომის შეიარაღებას საჭიროება. გერმანიის შეიარაღების ფრანგ მომხრეთა ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ ამას მოითხოვენ სხვა ქვეყნების მთავრობებიო. მაგრამ ჩვენმა ეროვნულმა კრებამ ცხადყო, რომ ხალხს, რომელმაც იცის, რომ მისი ბედი დაკავშირებულია მშვიდობასთან, შეუძლია უარი თქვას ამ მოთხოვნების მიღებაზე. ეროვნულ კრებაში გამართულმა კენჭისყრამ გაადიდა საფრანგეთის პრესტიჟი მთელ მსოფლიოში. მაშასადამე, საჭიროა კვლავაც უარვყოთ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ უარის თქმას ჩვენს ინტერესებზე, და ეს უნდა ვქნათ იმიტომ, რომ მავალწიოთ მშვიდობიან გადაწყვეტილებებს.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მისაღწევად საჭიროა უარი ვთქვათ გერმანიის ცალმხრივ შეიარაღებაზე, რაც გათიშვისა და ომის ფაქტორია, და შევუდგეთ მოლაპარაკების გამართვას. მოლაპარაკება ითვალისწინებს, რომ ყველა დაინტერესებულმა მთავრობამ განხორციელოს შრიგების რეალური ღონისძიებანი.

ეს მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს შემდეგ ძირითად პუნქტებზე:

— მომზადება საბავო ხელშეკრულებისა, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების განხორციელება;

— იმ პირობების გამონახვა, რომლებშიც გერმანიას შეეძლება შეუდგეს საყოველთაო თავისუფალი არჩევნების გამართვას;

— ნამდვილი უშიშროების ორგანიზაცია ევროპის ყველა ქვეყნისათვის, რაც კოლექტიური უშიშროების ძირითადი ელემენტია;

— საყოველთაო და თანდათანობით განიარაღება, რომლის დასაწყისი შეიძლება ყოფილიყო მიღება სტატუტისა მშვიდობისმოყვარე და გაერთიანებული გერმანიის შესახებ.

ვიმყოფებით რა ამჟამად უფრო ახლოს, ვიდრე წინათ, დასახულ მიზანთან, უნდა გავაორკეცოთ ღონისძიებანი, რათა ხელი შევუშალოთ „ვერმახტის“ აღორძინებას და მშვიდობის საქმისათვის ძირის გამთხრას, მოვუწოდებთ ყველა ჩვენს მეგობარსა და ყველა ფრანგს ამ მიზნით დაიწყონ დიდი ეროვნული კამპანია თანხმობისა და აზრების თავისუფალი გაზიარების სულისკვეთებით, რაც მუდამ ახასიათებდა ჩვენი კომიტეტის მოღვაწეობას.

ლონდონის თათბირი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხზე

ლონდონი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). ინგლისური გაზეთები გუშინ იუწყებოდნენ, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხზე ცხრა ქვეყნის თათბირზე 1 ოქტომბრის სხდომის შემდეგ „ჩიხი“ შეიქმნა, და გაძლიერებით განიხილავენ „უთანხმოებას“ საფრანგეთსა და დანარჩენ რვა ქვეყანას შორის.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ცხრავე ქვეყანამ უკვე მიაღწია სრულ თანხმობას იმ კომუნიკეს შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასავლეთი გერმანია მიღებულ იქნება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში „მთელი სუვერენული უფლებებით“. ამის შემდეგ რვა ქვეყანამ მოიწონა ორგანიზაციის შექმნა შეიარაღებისადმი (წარმოებისა და მიწოდებისადმი) ეგრეთწოდებული კონტროლის გასაწევად. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა უარი თქვა ამ პროექტის მოწონებაზე. გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ცნობით, მენდეს-ფრანსმა განაცხადა, რომ „იგი დაინტერესებულია არა მარტო იმით, რომ გერმანია არ ამზადებდეს ატომურ ბომბებსა და თვითმფრინავებს, არამედ მოითხოვს სრული კონტროლი დაწესდეს მთელი იარაღისადმი, რაც გერმანელთა ხელშია“. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, — წერს „მანჩესტერ გარდიანი“, — „თანხმდება, რომ საომარი მასალის, შაშხანებისა და სხვა მსგავს სახეობათა იარაღის წარმოება შეიძლება არ ექვემდებარებოდეს კონტროლს, მაგრამ მას სურს, რომ ტანკების, ქვემეხების, ჯავშნიანი მანქანებისა და სხვ. წარმოებისადმი დაწესებულ იქნას კონტროლი“.

ინგლისური პრესა, როგორც ჩანს, მიდრეკილებას იჩენს გააზვიადოს უთანხმოება, რაც შესაძლოა მიჩნეულ იქნას მორიგ ზეგავლენად საფრანგეთზე.

ამასთან ერთად ინგლისური გაზეთები კითხულობენ, რით არის გამოწვეული მენდეს-ფრანსის მოულოდნელი წინააღმდეგობა შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხში, მაშინ როცა სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნასთან და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკსა და ბრიუსელის პაქტში დასავლეთ გერმანიის მიღებასთან, უკვე შეთანხმებულია.

გაზეთების აზრით, მენდეს-ფრანსის პოზიცია ნაკარნახევია შიშით, რომ საფრანგეთის ეროვნული კრება უარს იტყვის დაამტკიცოს ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი, როგორც ისეთი, რომლებიც საფრანგეთს საკმაო გარანტიას არ აძლევენ დასავლეთ გერმანიის აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებისათვის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე „გარანტია“ გერმანიის იმპერიალიზმის საფრთხის წინააღმდეგ, თუ დასავლეთ გერმანიას მიეცა შეიარაღებისა და ომის უფლება, რომ იყოლიოს არმია ვიწრო კარდაბჭული სამხედრო დაჯგუფების ფარგლებში და არა კოლექტიური უშიშროების სისტემაში. ყოველგვარი ვალდებულება — „შეზღუდულ იქნას“ არმია ანდა შეიარაღება — ხელსაყრელ მომენტში შეიძლება გათელონ გერმანელმა მილიტარისტებმა, როგორც ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

ლონდონი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). რეიტერის სააgენტოს ცნობით, 2 ოქტომბერს საღამოს ცხრა ქვეყნის თათბირის მონაწილეებმა გადალახეს „ჩიხი“ შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხში — ძირითად საკითხში, რომლის განხილვა აფერხებდა სრული შეთანხმების მიღწევას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ახალი გეგმის შესახებ.

შეიარაღებისადმი კონტროლის განხორციელების სისტემის დაწვრილებით პირობებს შეიმუშავებს კომიტეტი, რომელსაც პარიზში ექნება სხდომები.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ

პარიზი, 3 ოქტომბერი. (საkდესი). როგორც ფრანს პრესის სააgენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, დღეს ცხრა ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, კანადის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და იტალიის — საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ. ამ შეთანხმებით დასავლეთ გერმანიას მიეცა შესაძლებლობა შექმნას შეიარაღებული ძალები 500 ათასი კაცის რაოდენობით, რომლებსაც ექნებათ 1.350 თვითმფრინავი, და შეუერთდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირსა და ბრიუსელის ხელშეკრულებას.

3. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფორტეპიანო 1 ადგილი
2. სოლო — სიმღერა 1 ადგილი
3. საგუნდო დირიჟორობა 1 ადგილი

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე